პრინციპული მატჩი

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 1 ნოემბერი.

ცსკა _ “დინამო” (თბილისი) _ 1:0 (1:0).

ცსკა: პშენიჩნიკოვი, ისტომინი, შესტერნიოვი, ვოიტენკო, კაპლიჩნი, კუზნეცოვი (უტკინი), დოლგოვი, კოპეიკინი, ფედოტოვი, პოლიკარპოვი, დუდარენკო.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, მაჩაიძე, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორებმა ითამაშეს 14 ოქტომბერს 3:0 ცსკა-ს სასარგებლოდ.

შეიძლება, გამეორდეს 1964 წლის ისტორია, როცა სსრ კავშირის ჩემპიონის გამოსავლენად საჭირო შეიქმნა დამატებითი მატჩის ჩატარება თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “ტორპედოს” შორის. ახლა 2 გუნდს _ მოსკოვის “დინამოსა” და ცსკა-ს აქვთ ზუსტად ერთნაირი ქულების (45) დაგროვების შესაძლებლობა და მაშინ ოქროს მედლებისთვის გამართული სპეციალური მატჩის მოწმენი ვიქნებით.

მაგრამ დინამოელები უფრო ახლოს არიან ამ მიზანთან, ვიდრე არმიელები. მათ 1 ნოემბრისთვის დარჩენილი ჰქონდათ მხოლოდ 1 თამაში ორჯონიკიძეში, ცსკა-ს კი _ 3 და მათ შორის ერთი ისეთ ძლიერ მეტოქესთან, როგორიცაა თბილისის “დინამო”.

ამიტომ ჰქონდა ამ შეხვედრას ასეთი პრინციპული მნიშვნელობა არმიელთათვის. ქულის დაკარგვა მათთვის ფაქტიურად ოქროს მედლების დაკარგვას ნიშნავდა. მაგრამ თბილისელებიც, როგორც იტყვიან, “სისხლხორცეულად” იყვნენ დაინტერესებული თამაშის მოგებით და საამისოდ სრული საფუძველი ჰქონდათ. ჯერ ერთი, ისინი IV ადგილისთვის იბრძვიან, მეორეც _ მათ ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი თავიანთი მოსკოველი თანაკლუბელების მიერ “დუბლის” გაკეთებას, ე.ი. თასის მოგების შემდეგ ჩემპიონობის მოპოვებასაც, ვინაიდან ამ შემთხვევაში ისინი, როგორც 1970 წლის სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალისტები, უფლებას ღებულობენ მონაწილეობა მიიღონ ისეთ დიდ ტურნირში, როგორიცაა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება.

როგორც ხედავთ, 1 ნოემბრის მატჩი ერთობ პრინციპული იყო და თუმცა მოსკოვში ამინდი აშკარად “ანტისაფეხბურთო” იდგა _ თოვლი, ტალახი, სიცივე საგრძნობლად ხელს უშლიდა მოთამაშეებს. მიუხედავად ამისა, მატჩი ძალზე საინტერესო, დაძაბული ბრძოლით აღსავსე გამოდგა.

თამაშის ბედი დასაწყისშივე გადაწყდა. მოსკოველებმა ჯერ კიდევ მე-2 წუთზე დაკარგეს ბურთის გატანის საუკეთესო საშუალება, როცა პოლიკარპოვმა ვერ მიუსწრო კარის წინ ჩაწოდებულ ბურთს. გავიდა კიდევ 8 წუთი და გოლი მაინც იქნა გატანილი. არმიელებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს, რის შემდეგ კარის სიახლოვეს ბურთი მიიღო დუდარენკომ. ამ მომენტში მოსკოველთა ფორვარდს ზურგს უკან ხურცილავა ედგა. ამ უკანასკნელმა მისთვის უჩვეულო პასიურობა გამოიჩინა, არ შეებრძოლა მეტოქეს და დუდარენკომ ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი ბადეში _ 1:0.

ეს გოლი წარმატების საიმედო გარანტია იყო ცსკა-სთვის. იგი თამაშობდა ზუსტად, მჭიდროდ ჰყავდა აყვანილი მოპირდაპირე თავდამსხმელები, განსაკუთრებით, გ. ნოდია. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ერთადერთი იყო თბილისელ ფორვარდებს შორის, რომელმაც ნამდვილი, მებრძოლის თვისებები გამოავლინა. სულ არ ჩანდა ლ. ნოდია, სისტემატურად კარგავდა ბურთს მეტრეველი, როგორც წესი, ამუხრუჭებდა დინამოელთა შეტევებს მინდვრის შუაგულში ასათიანი.

ტაიმი მთლიანად არმიელებისა იყო. შესვენების შემდეგ ბრძოლის სურათი მთლიანად შეიცვალა. თბილისელებმა საფუძვლიანად გარდაქმნეს თამაში და 20-25 წუთის განმავლობაში ცსკა მათი მძლავრი შტურმის წინაშე გაჭირვებით, ძალების მაქსიმალური დაძაბვით ახერხებდა კარის ხსნას სახიფათო მომენტებისგან. დინამოელთა მრავალი იერიშის მუდმივი მონაწილე იყო ძოძუაშვილიც, რომელიც რეგულარულად ასრულებდა რეიდებს თავის ფლანგზე და ცენტრში აწვდიდა ბურთებს. არმიელთა დაცვამ შესტერნიოვის მეთაურობით გაუძლო მოწინააღმდეგის ამ ძლიერ დაწოლას და შეინარჩუნა მინიმალური ანგარიში თავის სასარგებლოდ.

დინამოელებმა კიდევ ერთი მარცხი განიცადეს მოსკოვში, მაგრამ საყოველთაო სიმპათია დაიმსახურეს საუკეთესოდ ჩატარებული მეორე ტაიმისთვის.

ვ. პავლოვი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 3 ნოემბერი, 1970 წ.